

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბრძანება N226

29 სექტემბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

„საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N24 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N24 ბრძანებით (სსმ ვებგვერდი 10/05/2013, 010240030.22.023.016149) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დებულების მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს კანონმდებლობით დაგენილი წესით გარემოზე ზემოქმედების ნებართვის (შემდგომში-ნებართვა) გაცემა, ეკოლოგიური ექსპერტიზის განხორციელების ორგანიზება, ეკოლოგიური ექსპერტიზის კომისიაში მონაწილეობა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შედგენა, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით ექსპერტიზის ორგანიზება და საექსპერტო კომისიაში მონაწილეობა.“

2. დებულების მე-8 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს კანონმდებლობით დაგენილი წესით გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემას, ეკოლოგიური ექსპერტიზის განხორციელების ორგანიზებად, ეკოლოგიური ექსპერტიზის კომისიაში მონაწილეობასა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შედგენას, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით ექსპერტიზის ორგანიზებას და საექსპერტო კომისიაში მონაწილეობას.“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.